დასკვნა:**დ05. 3723233001**
თარიღი:**21/08/2023**

დასკვნა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“-თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი და დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა (შემდგომში დოკუმენტი) მომზადებულია აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის აქტიური ჩართულობით.

2. დოკუმენტში გაანალიზებულია საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საქმიანობის პრაქტიკა. დახასიათებულია კომისიის საქმიანობის პოზიტიური ასპექტები, მოცემულია კომისიის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირების ხელშემშლელ ფაქტორთა შეფასებები.

3. დოკუმენტი სრულყოფილად ასახავს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ძირითად მიმართულებებს, მათ შორის მნიშვნელოვანია:
   - საბიუჯეტო პროცესში კომისიის ეფექტიანი მონაწილეობა;
   - კომისიის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება;
   - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინსტიტუციური გაძლიერება;
   - მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა;
   - კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებების გაზრდა.

4. დოკუმენტით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე შემუშავებულია კომისიის კონკრეტული სამოქმედო გეგმა 2023-2024 წლების პერიოდისათვის. აღნიშნულ გეგმაში მოცემულია ზემოთ აღნიშნული პერიოდისათვის განსახორციელებელი აქტივობები, მათი შეფასების ინდიკატორები და ცალკეული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები საკრებულოდან და სხვა მონაწილე მხარეები (მაგ: საკრებულოს აპარატი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური).

5. დასამტკიცებლად წარმოდგენილი დოკუმენტით განსაზღვრული მიზნებიდან

გამომდინარე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ამოცანების ერთობლიობა, რომელთაგან მნიშვნელოვანია:

- მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში კომისიის მაქსიმალურად ჩართვის უზრუნველყოფა;
- საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მოქალაქეთა საჭიროებების იდენტიფიცირება, საკითხების პრიორიტეტიზაცია და საბიუჯეტო ინვესტიციების მომზადება;
- საკრებულოში პრიორიტეტის დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის კოორდინაცია;
- კომისიის ჩართულობა მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსების განკარგვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში;
- კომისიის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება;
- ბიუჯეტის შესრულების კონტროლი;
- აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადებული სხვადასხვა დოკუმენტების განხილვა და შესრულების მონიტორინგი;
- მერიის სტრუქტურული ერთეულების ზედამხედველობის გაუმჯობესება;
- აუდიტის ანგარიშების განხილვა და ა. შ.
- თანამშრომლობა გარე აქტორებთან და კარგი პრაქტიკის გაზიარება;
- მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა ბიუჯეტის ფორმირების პროცესში;
- აკადემიურ სფეროსთან, სამოქალაქო ორგანიზაციებთან და კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- კომისიის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა და ა. შ.

6. ოზურგეთის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, საბიუჯეტო კოდექსი, საკრებულოს რეგლამენტი, კომისიის დებულება) და მაქსიმალურად არის ორიენტირებული საბიუჯეტო საფინანსო კომისიის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისაკენ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ოზურგეთის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2023-2025 წლების პერიოდისათვის რეკომენდირებულ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი